ევროსესხი

ექსპერტები ევროობლიგაციების წინააღმდეგ ილაშქრებენ

„რა გარანტიები გვაქვს, რომ ჩვენი ფინანსური ბაზარი დაცული იქნება გარე კატაკლიზმებისგან?“

ანეთი ბერიკაშვილი

ეკონომიკური ექსპერტებისათვის დღემდე გაურკვეველი რჩება, თუ რატომ იწყებს საქართველო ევროობლიგაციების გამოშვებას. პარლამენტარი ლადო პაპავა აცხადებს, რომ ევროობლიგაციების გამოშვება პოლიტიკურადაც გაუმართლებელია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დღევანდელი მთავრობის წევრებმა ისიც კი არიციან, თანამდებობებზე რამდენ ხანს დარჩებიან.

მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გამო, დაგეგმილი ევროობლიგაციების ემისია გარკვეულ რისკებს რომ შეიცავს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა აღიარა. თუმცა ევროობლიგაციების გამოშვება ისე მყარადაა გადაწყვეტილი, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობას ასეთი „მცირემასშტაბიანი“ პრობლემები სულაც არ აშინებს.

გურგენიძის ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან ევროობლიგაციები უკვე 8 ქვეყანამ განათავსა. „იმედია, ამ ქვეყანათა რიცხვს აპრილში საქართველო შეუერთდება“, - აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

ევროობლიგაციების სადებიუტო ემისიას საქართველო აპრილში მოახდენს. შედეგად ქვეყანა 500 მლნ აშშ დოლარის გრძელვადიან საინვესტიციო რესურსს მიიღებს. უფრო ზუსტად კი, 500 მილიონის საგარეო ვალს ავიღებთ. მთავრობის პროგრამის მიხედვით, ამ თანხებით დაფინანსდება სტრატეგიული პროექტები, როგორებიცაა ნახევარი მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის გაზსაცავის მშენებლობა და ჰიდრორესურსების ექსპორტის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით დამატებითი მაგისტრალური ელექტროსადენების ქსელის შექმნა.

გურგენიძის განმარტებით, ხელისუფლების პოზიციაა, გაზსაცავი და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში. „ამასთან, არ არის გამორიცხული, პროექტები ნაწილობრივ კერძო სექტორის მიერ დაფინანსდეს“, - აცხადებს გურგენიძე.

პარლამენტარი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ მთავრობაში არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რატომ იღებს და რაში დახარჯს 500 მილიონი დოლარის საგარეო სესხს, რომლის აღებასაც ევროობლიგაციების ემისიის ფარგლებში გეგმავს.

„პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ რამდენიმე დღის წინ სატელევიზიო ეთერით განაცხადა, რომ საგარეო ვალს მთავრობა ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით იღებს. პარლამენტში საბიუჯეტო განხილვისას კი ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა თქვა, რომ ეს თანხა მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში იქნება გამოყენებული. ეს ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საკითხია, რაც ადასტურებს, რომ მთავრობას



„მთავრობას წარმოდგენა არა აქვს, რაში სჭირდება ეს ფული“

„ევროობლიგაციები სხვა არაფერია, თუ არა ახალი სესხის აღება. რაში სჭირდება პროფიციტული ბიუჯეტის მქონე ქვეყანას სესხად აღებული სხვისი ფული?“

უნდა დახარჯოს ეს ფული, მაშინ რატომ იწყებს ევროობლიგაციების გამოშვებას, მით უმეტეს მაშინ, როცა მსოფლიოში გლობალური ფინანსური კრიზისის ყველა ნიშანი იკვეთება. პარლამენტარი ევროობლიგაციების ემისიის პოლიტიკურ მხარეებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ „დღეს, როცა არავინ იცის, თუ რამდენთვიანია ეს მთავრობა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება კიდევ უფრო დიდი შეცდომაა“.

პაპავას მსგავსად, ქართველი ექსპერტების დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ევროობლიგაციების გამოშვება ყოვლადგაუმართლებელი იქნება. განსაკურებით იმ პირობებში, როდესაც მთავრობა ცდილობს, ყველა დაარწმუნოს ბიუჯეტის პროფიციტულობაში.

ეკონომიკური ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ევროობლიგაციებისათვის სესხის აღება გაუთვლელი ნაბიჯია. „ევროობლიგაციები სხვა არაფერია, თუ არა ახალი სესხის აღება. რაში სჭირდება პროფიციტული ბიუჯეტის მქონე ქვეყანას სესხად აღებული სხვისი ფული, თუ არ იცის, რა უყოს თავის ფულს და ვერ ხარჯავს? პასუხი

„მთავრობას წარმოდგენა არა აქვს, რაში სჭირდება ეს ფული“

წარმოდგენა არა აქვს, რაში სჭირდება ეს ფული“, - განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „პირველს“.

როგორც პაპავამ აღნიშნა, საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით კონტროლის პალატის მიერ მომზადებულ დასკვნაშიც ნათქვამია, რომ მთავრობას ახალი საგარეო ვალის გაზრდა გაწერილი არა აქვს. პაპავას აინტერესებს, თუ მთავრობამ არ იცის, რაში ამაზე ჩვენს პრემიერ-მინისტრს არ გააჩნია. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს - პროფიციტული ბიუჯეტი მხოლოდ იდეაფიქსია.

ამჟამად, საერთაშორისო ფინანსურ ბაზარს ემუქრება სერიოზული საფრთხე. წლევანდელ მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე წამყვან ეკონომისტთა ჯგუფი 2008 წლის საფრთხეების ანალიზს აკეთებდა. უდიდესი საფრთხე, რომელზეც ყველა ექსპერტი შეთანხმდა, საერთაშორისო ფინანსური კრიზისია. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ფულზე მოთხოვნილება საერთაშორისო მასშტაბით იზრდება. შესაბამისად, მატულობს საპროცენტო განაკვეთი.

ასეთ პირობებში რატომ ვაპირებთ მაღალპროცენტიანი სესხის აღებას? რა გარანტიები გვაქვს, რომ ჩვენი ფინანსური ბაზარი დაცული იქნება კატაკლიზმებისგან? აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ევროობლიგაციების გამოშვება გაუთვლელი ნაბიჯია. ვწუხვარ, რომ აქამდე ამის საწინააღმდეგო არგუმენტებს, დასაბუთებას ვერ ვისმენ ჩვენი პრემიერ-მინისტრისგან“, - აცხადებს ცისკარიშვილი.

ვალუტა

ეროვნული ბანკი ლარის გასამყარებლად თავის